დიდება შრომას!

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

9 თებერვალი შაბათი 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 34 (15855)

დღეს თბილისში სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში გაიხსნება საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება.

მხურვალე სალამი აქტივის კრების მონაწილეებს!

ბოლშევიკური გასტროლიორული ეროვნული-დემოკრატიული ფრონტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელი მიზნისაკენ, ერთიანი მწყობრით

დედაქალაქი ეგებება პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებს

დამთავრდა კიდევ ერთი შრომითი წელი — ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წელი, მილიონთა შეუპოვარი შრომის წელი, შემოქმედებითი ძიების წელი ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. დაიწყო ხუთწლედის მეოთხე წელი, რომელსაც ხალხმა განმსაზღვრელი წელი უწოდა. გასული წლის შედეგები მოწმობენ, რომ სოციალისტური შეჯიბრება ქარხნებში, თემებსა და შახტებში, საკოლმეურნეო სოფელში გამდიდრდა ახალი ფორმებით, შეიძინა მეტი კონკრეტულობა და მიზანმიმართულობა.

შეჯიბრების შედეგებზე, ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს მოპოვებულ წარმატებებზე, მომავლის გეგმებზე ილაპარაკებენ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე მისი საუკეთესო ადამიანები, სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულები.

საქართველოს ფრონტის, ერის, თბილისის რკინიგზის ვაგზალი. ყველგან პლაკატები, ლამაზი პანოები, ყვავილებია. უკრაეს ორკესტრი. აქ შესახვედრად მოვიდნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები. აქ არიან პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, სამინისტროთა ხელმძღვანელები, სსრ კავშირის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების დეპუტატები. რაიონებიდან ჩამოსულ მეგობრებთან შესახვედრად მოვიდნენ თბილისის საწარმოთა წარმომადგენლები.

ბაქნის ზედაზედ მოადგნენ მატარებლები.

ვაგონებიდან გადმოდიან მოშათა ქლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის წარმომადგენლები, — ორი ათასზე მეტი კაცი. ესენი არიან სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, ტრანსპორტის ნოვატორები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მოწინავეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, ბევრი პატრიოტული თაოსნობის ინიციატორები. ბევრი მათგანის სახელი ფართოდ არის ცნობილი რესპუბლიკაში, მის ფარგლებს გარეთ. მათი თავდადებული შრომა აღინიშნა სამშობლოს მაღალი ჯილდოებით, შთამაგონებელი მაგალითია ბევრი საბჭოთა მშრომელისათვის.

თბილისელები გულთბილად შეხვდნენ რესპუბლიკის სულ სხვადასხვა ქალაქიდან და სოფლიდან ჩამოსულ მეგობრებს, რომლებიც ჩამოვიდნენ იმისათვის, რომ მასპინძლებს გააცნონ თავიანთი მიღწევები, შეიტყონ, თუ როგორ მიდის მეტოქეთა საქმეები, რა ახალი, საყურადღებო გამოცდილება შეიძინეს მან. ყოველ მათგანზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ, 1974 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესასრულებლად სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ.

ამ დღეებში რესპუბლიკის ასობით მოწინავე ადამიანი ეწვია თბილისის საწარმოებს, გაეცნო მათ შუშაობას, გაუზიარა გამოცდილება. გაიმართა საუბრები მინისტრებთან. (საინფორმი).

„დიდ ლენინს...“

ხაზეიმოდ გამოიყურებოდა 8 თებერვალს ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანი. აქ მოვიდნენ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები, რომლებიც თბილისში ჩამოვიდნენ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაში მონაწილეობისათვის.

შრომის გვირგვინიელებმა ვ. ი. ლენინის ძეგლი შეამკეს გვირგვინით. წითელ ლენტზე ოქროს ასოებით წარწერილია: „დიდ ლენინს სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა შეკრების მონაწილეებისაგან“. (საინფორმი).

სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი



საქართველოს პარტიულ-საბჭოთა ეკონომიკურ კრების მონაწილეთა ერთი ჯგუფი, რესპუბლიკის მოწინავე ადამიანები (მარცხნიდან): ხაშურის რაიონის სოფ. სათივეს კოლმეურნეობის მეჭარხლე, სოციალისტური შრომის გმირი მ. ღონღლაძე, ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ერგეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ბ. ჭანმანიძე, ჭიათურმარგანეცის ტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროს მნგრეველი, სოციალისტური შრომის გმირი ბ. ბოგბატიშვილი, ხხორეოწყუს რაიონის სოფ. ხაბუშეს კოლმეურნეობის მეჩაიე, ე. ცირამუა, ხაშურის რაიონის სოფ. ტაბისკარის კოლმეურნეობის მევენახე, სოციალისტური შრომის გმირი ი. ხაჩიძე, თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. მამულაშვილი, ხაჩერის რაიონის სოფელ კალვათას მშენებელი, სოციალისტური შრომის გმირი ბ. ჭოხონელიძე, ტყვარჩელის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის მაღაროს პარტბიურის მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი მ. ბიგვავა, ოჩამჩირის რაიონის მერკულის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ტ. სოსელია, წალენჯიხის რაიონის ოჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი თ. ჭანტურია, კასპის ცემენტის ქარხნის უფროსი მემანქანე, სოციალისტური შრომის გმირი ვ. მანძულაშვილი.

ფოტო ლ. ბინზაურისა და ს. ბელაძის ფოტო.

მაღალი ზნეობით, კრისტალური რწმენით!

ჩვენი სიტყვა, ჩვენი მაღლობა

„რაც შინ ვბრუნდები ხოლმე, საკუთარ თავს, საკუთარ სინდისს ვეკითხები, ძალღონე ხომ არ დამიზოგავსმეთქი დღეს ხუთწლედის გეგმის შესასრულებლად?“ — ერთ-ერთი რუსთაველი მუშა-კომუნისტის მიერ ტრიბუნიდან თქმულ ამ სიტყვებს დღეს საქართველოს მშრომელთა დიდი არმია იმეორებს.

თვითეულ ჩვენთაგანს სიამაყეს გვგვრის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში მიღწეული აღმავლობა, საერთო ენთუზიაზმის ატმოსფერო.

ოთხგზის ორდენოსანი საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმების შესრულებაში. წარმატებულ 1972 წელთან შედარებით საქართველოს სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდამ შეადგინა 7,3 პროცენტი 4,4 პროცენტის ნაცვლად, გეგმის გადაჭარბებით წარმოებული და რეალიზებულია 140,7 მილიონი მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 6 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მიღებულია პროდუქციის მატების 83,6 პროცენტი, მოგება გაზრდილია 12 პროცენტით. 1972 წელთან შედარებით წარმოებულია 625 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 31 ათასი ტონა თუჯი, 83,8 ათასი ტონა ფოლადი, 116 ათასი ტონა ნაგლინი, 32,4 ათასი ტონა ფოლადის მილები, 88,3 ათასი ტონა მინერალური სასუქები.

შესრულებულია მიწათმოქმედების ძირითადი პროდუქტების შესყიდვის სახალხო-სამეურნეო გეგმა. მარცვლეულისა — 171 პროცენტით, აქედან ხორბლისა — 382 პროცენტით, მზესუმზირისა — 156 პროცენტით, ჩაის ფოთლისა — 107 პროცენტით, კურკოვანი და თესლოვანი ხილისა — 197 პროცენტით; კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ერთი ძროხის საშუალო წველადობა გაიზარდა 4 პროცენტით, ქათმის მეკვერცხულობა — 14 პროცენტით, ერთი ცხვრის ნაპარსი — 15 პროცენტით; კოლმეურნეობების საერთო შემოსავალმა შეადგინა 318 მილიონი მანეთი, რაც 2 პროცენტით მეტია, ვიდრე წინა წლებში; 10 პროცენტით გაიზარდა სახელმწიფო და კოლმეურნეობების კაპიტალური დაბანდებანი.

ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ყველგან, ყველა სფეროში წინსვლა იგრძნობა და საერთო სახალხო აღმავლობა, ენთუზიაზმი სუფევს. ჩვენ, მშრომელებს გვწამს ჩვენი საქმის დიდი მომავლისა, ვგრძნობთ ზრუნვას და ყურადღებას, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი და პირადად გენერალური მდივანი ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი იჩენენ ჩვენდამი, საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ამის კიდევ ერთ-ერთი დადასტურებაა ის, რომ ამ დღეებში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით მიიღეს ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიული გადაწყვეტილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ეს დადგენილება საქართველოს მშრომელებს უსახავს კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ პროგრამას.

არ შეიძლება არ აგაღელვოს ამ გადაწყვეტილებამ. იგი იმის გამომხატველია, რომ საქართველოს მუშათა კლასის, მშრომელთა რწმენას ენდობიან, ანგარიშს უწევენ, რომ ჩვენს დიდ რევოლუციურ ტრადიციებს და ახალ აღმშენებლობითს ბრძოლას პატივს სცემენ. ამ ნდობას, ამ ყურადღებას ჩვენ საქმით უნდა ვუპასუხოთ, თვითეულმა ჩვენგანმა უნდა იგრძნოს, შეიგნოს, რომ მხოლოდ ყოველდღიური, თავდადებული შრომით, ყველა რგოლში დისციპლინის განმტკიცებით მივაღწევთ იმ მიზანს, რომელსაც ლენინური პარტია გვისახავს.

დღეს, როცა დედაქალაქში პარტიული და სამეურნეო აქტივის კრებაზე თავი მოიყარეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მოწინავე ადამიანებმა, როცა ეს-ეს არის დიდი საუბარი დაამთავრეს თბილისელმა კომუნისტებმა თავიანთ პარტიულ კონფერენციაზე, თვითეული ჩვენგანი დიდ მადლობას უძღვნის სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროს, საბჭოთა მთავრობას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარებაზე ნამდვილი პარტიული, მამობრივი ზრუნვისათვის. ჩვენ სიტყვას ვიძლევით, რომ ლენინური ცენტრალური კომიტეტის ნდობასა და ზრუნვას თავდადებული შრომით გავამართლებთ.

როცა ამ პირობას ვიძლევით, კარგად გვესმის, რომ რაც გავაკეთეთ საკმარისი არ არის, რომ ყველა რგოლში უნდა მივაღწიოთ ძირეულ გარდატეხას, უნდა შევძლოთ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების ყოველი პუნქტის უთუო შესრულება. ამის მისაღწევად კი პირველ რიგში საჭიროა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ახლებურად წარვმართოთ სოციალისტური შეჯიბრება, კონკრეტული, რეალური გავხადოთ პირადი გეგმავალდებულებანი, სისტემატურად შევამოწმოთ მათი შესრულების მიმდინარეობა, ობიექტურად შევაჯამოთ შედეგები.

თვითეულმა ჩვენგანმა კარგად ვიცით, რომ თუ მეცხრე ხუთწლედის დარჩენილი ორი წლის დავალებებს ვერ შევასრულებთ, რეალურ საფუძველს ვერ შეგუქმნით პარტიისა და მთავრობის ახალი დადგენილების შესრულების საქმეს. ახალი წლის პირველი თვე დამთავრდა. ამ მოკლე პერიოდმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ საქართველოს მშრომელები ენთუზიაზმით შეუდგნენ ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის დავალებათა შესრულებას; მთელი ხალხის უზენაესი აქტივიზაცია თვალსაჩინოა, ასეთი მაღალი აქტივობა უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში არ ყოფილა.

განსაკუთრებით საგულისხმოა ის, რომ იგრძნობა ყველა პატიოსანი მშრომელის, მაღალი ზნეობისა და კრისტალური პოლიტიკური რწმენის ადამიანის გააქტიურება, სულ უფრო საგრძნობი ხდება მათი ნებისა და სულისკვეთების გამოვლინება და გამოცოცხლება. ყოველივე ეს აღინიშნა დედაქალაქის პარტიული კონფერენციის მაღალი ტრიბუნიდან. ჩვენ ეს დიდ სიხარულს გვანიჭებს, დიდ რწმენას და ენერგიას გვმატებს.

ახლა ჩვენი უპირველესი ამოცანაა შინაგანი რეზერვების მობილიზაციის საფუძველზე მივაღწიოთ პროდუქციის გამოშვების მნიშვნელოვან ზრდას, ხარისხის გაუმჯობესებას, ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, ვადამდე და ყველა მაჩვენებლის მიხედვით შევასრულოთ ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის დავალება.

სოციალისტური შრომის გმირები: ვ. პაპინაშვილი — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ზეინკალი, **ბ. ბოგბატიშვილი** — ჭიათურმარგანეცის ტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროს მნგრეველი, **ვ. მანძულაშვილი** — კასპის ცემენტის ქარხნის უფროსი მემანქანე, **მ. ღონღლაძე** — ხაშურის რაიონის სოფელ სათივეს კოლმეურნეობის მეჭარხლე, **თ. ჭანტურია** — წალენჯიხის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, **ვ. მამულაშვილი** — თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკის ბრიგადირი.

ვახტანგ ბორგანელი

ზეპირი ფინსვლის

ვეძღვნი მე-9 ხუთწლედის სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეებს

რეკავს ზარი,
ზარი წინსვლის,
ზარი ქვეყნის განახლების,
რომ მიეცი მამულს ფიცი —
იმ ხიტყვების განაღდების.
აბა, ერთი დაგვანახვე
როგორ გახველ მინდორ-ველად,
აქ ყოველი მიწის გოჯი
არწივის ფრთით იზომება.
შენი ერთი შემართება,
შენი ერთი თქმული ვაშა
უნდა მგავდეს ვეფხვის ნახტომს,
უნდა მგავდეს ტალღის გაშლას.
რეკავს ზარი,

ზარი წინსვლის,
ზარი ქვეყნის განახლების.
გადმოშალე ოქროს ფარჩა
შენი სულის სანახების.
მთაზე ნატვრა გადმომდგარა,
საოცრების ისევ ხილვად.
მშობელ ქვეყნის სადიდებლად
ეს კაშკაშა გვიწვევს დილა.
ხმაბაჯაღლო სალამური,
განა რამეს გულში მალავს,
შენივე უნდა გაგახაროს
გატანილმა გუთნის კვალმა.
რეკავს ზარი,

ზარი წინსვლის,
ზარი ქვეყნის განახლების.
მიშრიალებს არხში ზვირთი
ცისარტყელის ანახევი.
აჰა, მზე და ასპარეზი,
არ გიმტყუნებს, ენდე კიბეს.
თუ კაცი ხარ, ამ მიწა-წყლის
სიკეთეში შემეჯიბრე.
მოქნეული გრდემლზე ურო
ბღუჯა-ბღუჯა ვარსკვლავს ისვრის.
ვინც საქმეში წინ გამისწროს
ჩემი ლექსი ალალმისი.

რეკავს ზარი,
ზარი წინსვლის,
ზარი ქვეყნის განახლებად
და ლეგენდებს გამარჯვება
მწვერვალებზე ააქვთ მხრებით.

დროშა — მეექვსედ

ბუთაისი, 8 თებერვალი. (საინფორმის კორ.). დარგის ხრულად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად 1973 წლის მეოთხე კვარტალის შედეგებისათვის ცნეს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი. ავტომობილშენებელთა კოლექტივმა მეექვსედ მოიპოვა სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროსა და მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ქუთაისელმა ავტოქარხნელებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება წლიური გეგმის 25 დეკემბრისათვის შესასრულებლად, პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად ახალი წარმატება მოიპოვეს — ვადაზე ერთი კვირით ადრე შეასრულეს იანვრის გეგმა.

ჩქაროსნული ნადნობი

რუსთავი, 8 თებერვალი (საინფორმის კორ.). რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს ღუმელთან მეფოლადე ახალგაზრდა კომუნისტი გ. ფანჩვიძე თებერვალში ყველა ნადნობს ჩქაროსნული მეთოდით უმჯობს. წარჩინებული ოსტატის ანგარიშზე მარტო ამ თვეში უკვე 100 ტონა ზეგეგმითი ლითონია.

რუსთაველმა მეფოლადეებმა კარგად დაიწყეს ხუთწლედის განმსაზღვრელი წელი. იანვარში მათ გადაამეტეს 2 ათასი ტონა ზეგეგმითი ფოლადი. დამკვრელური შრომა ოქტომბერალშიც გრძელდება. ნადნობის ნახევარზე მეტი ჩქაროსნულია. თავდადებული შრომის მაგალითებს გვიჩვენებენ მეფოლადეები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. სპანდერაშვილი, ი. ქოქიაშვილი, გ. ბერეკაშვილი, ი. გურგენიძე, ვ. შჩეგლოვი, შ. გელოვანი, ტ. ცქიტიშვილი და სხვები.

თათბირობენ სახალხო კონტროლიორები

მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოთა სახალხო კონტროლიორთა მუშაობისა და ამოცანების ძირითად მიმართულებათა განსაზღვრას მიეძღვნა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ორგანოთა მუშაკების თათბირი, რომელიც თბილისში გაიმართა.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. კვარაცხელიამ გააკეთა მოხსენება „რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოთა ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით“.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ: თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ჯანჯღავა, აფხაზეთის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. ცანავა, აჭარის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ზ. ტუსკია, ფოთის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ხომერიკი, სიღნაღის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სომხიშვილი, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგის მოადგილე ო. უსტენოვი, მსუბუქი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ე. დუდჩენკო, ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ბ. გრიგალაშვილი, ვაჭრობის მინისტრი მ. მეგრელიშვილი, ელკავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. შავიშვილი.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. პატარიძე და სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ა. ტუეკოვი.

ამ თათბირის ვრცელი ანგარიში გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში.

შეჯიბრება — მილიონთა შემოქმედება
ხუთწლედის გადამწყვეტი წელი

ხვალ უკეთ ვიშრომოთ, ვიდრე დღეს, მეგობრებო!

ხუთწლედი-ვადაზე ადრე დასრულებულია
1974
შემოსავალი

ახალი მიღწევებით აღვნიშნოთ ხუთწლედის მეოთხე, გადამწყვეტი წელი

საქართველოს სამრეწველო, სატრანსპორტო საწარმოთა, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციათა კოლექტივები სიხარულით შეხვდნენ ცნობას, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკა, აფხაზეთის ასს რესპუბლიკა გამარჯვებულად ცნეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და წითელი დროშებით დაჯილდოეს.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შორის არიან რესპუბლიკის რვა მოწინავე სამრეწველო, სატრანსპორტო საწარმოს, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციათა კოლექტივები.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ სთხოვა ამ გამარჯვებული კოლექტივების ხელმძღვანელებს მოეთხროთ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებისათვის თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე, ახალ გაზრდილ ვალდებულებებზე, რომლებიც მათ იკისრეს მიმდინარე წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის.

რკინიგზელთა დამკვრელური წელიწადი

რეზერვების ძიების გზით

გ. ქადაგიძე,
ამიერკავკასიის ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი რკინიგზის უფროსი

ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა 1973 წლის დავალება 15 დღით ადრე შეასრულა, გეგმის გადამეტებით გადაზიდა ასი ათასობით ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი. სხვა ეკონომიურ მაჩვენებლებთან ერთად სავრძნობლად გაუმჯობესდა ვაგონებისა და ლოკომოტივების გამოყენების კოეფიციენტი. მაგალითად, თვითეული ვაგონის დატვირთვა შარშან გეგმაზე 0,8 პროცენტით მეტი იყო, ამასთან თვითეული ვაგონის ბრუნვა საგრძნობლად დაჩქარდა, ხოლო ვაგონის საძღვარმისო მწყობრობლობამ გეგმით გათვალისწინებულს შესამჩნევად გადაამეტა. ამან საშუალება მოგვცა ყველიდიურად გამოგვეთავისუფლებინა 970 ვაგონი, მაშინ როცა ნაკისრი ვალდებულება 700 ვაგონის გამოთავისუფლებას ითვალისწინებდა. რკინიგზელებმა შარშან 3,5 მილიონი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღეს.

ჩვენი კოლექტივის ამ მაჩვენებლებს დიდი შეფასება მისცეს პარტიამ და მთავრობამ — საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შორის დაგვასახელეს. ეს დიდი პატივი და სტიმულია თვითეული რკინიგზელისათვის, რომლებიც ახლა დამკვრელურ წრომას განაგრძობენ ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის გეგმებისა და ვალდებულებების გადამდე შესრულებისათვის.

შეჯიბრებაში გამარჯვება დაემთხვა ჩვენი კოლექტივის ცხოვრებაში მოახდარ მეტად მნიშვნელოვან სიახლეს — დამთავრდა მეორე ლიანდაგის და ორლიანდაგიანი ჩამატებების მშენებლობა სურამის გადასასვლელის უბანზე, რამაც მთლიანად აღმოფხვრა დიდი შეფერხებანი, რომლებიც წლების მანძილზე ხელს გვიშლიდა მუშაობაში.

მეორე ლიანდაგის მშენებელთა ეს გამარჯვება დაახლოებით იმ გამარჯვების ტოლფასად მიგვაჩნია, რომელსაც რკინიგზის მშენებლებმა 30-იან წლებში მიაღწიეს — გადასასვლელზე მოძრაობა ელექტროფიცირებული რომ გახდეს.

წელს თავდადებით შრომობენ რკინიგზელები, რომელთა შორის კვლავაც გამოირჩევიან რკინიგზის თბილისის სატვირთო სადგურის მატარებლების შემდგენელი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ფოცხვერაშვილი, ზაშურის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე გ. აბესაძე, თბილისის სალოკომოტივო დეპოს ზეინკალი დ. ბაკურაძე, სამტრედიის სავაგონო დეპოს ზეინკალი ი. ჯოჯუა, სოხუმის გზის დისტანციის ოსტატი ლ. გულორდავა, ლენინაკანის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე მ. გრიგორიანი, ერევნის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის ელექტრომექანიკოსი ა. აფიანი და ბევრი სხვა.

შარშანდელ მიღწევებში დიდია პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების შემოქმედებითი მუშაობის როლი. სწორედ ისინი რაზმავდნენ რკინიგზელთა ფართო მასებს სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიური მონაწილეობისათვის, წინ მიუძღოდნენ მათ, წარმოებაში ნერგავდნენ მოწინავეთა გამოცდილებას, ტექნიკურ პროგრესს, განამტკიცებდნენ საწარმოო და შრომითს დისციპლინას.

მაგისტრალის კოლექტივებს წინ დიდი სამუშაო აქვთ, პარტიისა და მთავრობის ჯილდო ახალ შრომითს ენთუზიაზმს შემატებს მათ. წელს კვლავ გაგრძელდება მეორე ლიანდაგების მშენებლობას, კავშირებისა და სადგურების განვითარებას, ისრების სადისპეტჩერო ცენტრალიზაციისა და ელექტროსიგნალიზაციის მოწყობას. კიდევ უფრო გაფართოვდება სატვირთო მეურნეობა, გაძლიერდება მოძრავი შემადგენლობის სარემონტო ბაზა, კეთილმოწყობა სამგზავრო მეურნეობა.

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვით აღფრთოვანებული რკინიგზელები კიდევ უფრო ენერგიულად სრულყოფენ ტვირთბიდვის ტექნოლოგიასა და ორგანიზაციას, ეძებენ ახალ რეზერვებს და ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ მთლიანად დაკმაყოფილონ საქართველოსა და სომხეთის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის სატრანსპორტო მოთხოვნილებანი.

რკინიგზის ყველა კოლექტივში ახლა ორნახული შრომითი აღმავლობაა. მაღალი ჯილდოს პასუხად რკინიგზელები ვალდებულებას კისრულობენ უკეთესი მაჩვენებლებით დამთავრონ მიმდინარე წელწადი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ ჩვენი გმირი მუშათა კლასი — საბჭოთა საზოგადოების წამყვანი ძალა, ინჟინრები, ტექნიკოსები და კონსტრუქტორები, ინდუსტრიის ყველა მუშაკი კვლავაც იქნებიან დასახული გეგმების ვადამდე შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში, კონკრეტულ საქმეებში შეასრულებენ ხორცს თავიანთ ძალებს, ცოდნას, გამოცდილებას და კვლავ, როგორც ყოველთვის, გვიჩვენებენ მაღალი შეგნებულობის, ორგანიზებულობისა და საქმიანობის მაგალითს.

კვლავაც მაღალი წევით

მ. კიკნაძე,
საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 13 ტრესტის მმართველი

ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს მშენებლებმა გაცილებით უკეთ ვიმუშავეთ ვიდრე წინა წლებში. როგორც ცნობილია, რამდენიმე წელია რესპუბლიკაში არ შესრულებულა საბინაო მშენებლობის გეგმა. მოსახლეობას დააკლდა ათეულ ათასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ყოველივე ეს იმის შედეგი იყო, რომ ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა უბანზე გაბერდა უდისციპლინობა, უპასუხისმგებლობა... სოციალისტური შეჯიბრება ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არსებული მდგომარეობიდან სავსებით სწორი დასკვნები გააკეთა. უკანასკნელ პლენუმებზე მართებულად ითქვა მშენებლობაში არსებული სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ.

ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს ჩვენი ტრესტის სამშენებლო ორგანიზაციებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად ძირეულად გარდაქმნეს მუშაობა. მთავარი ყურადღება დავუთმეთ შრომის დისციპლინის განმტკიცებას, მშენებლობის მოწინავე მეთოდების დანერგვას, მშენებარე ობიექტების მასალებით ჯრაფიკით მომარაგების საკითხებს, მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებას. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩავაბით ყველა მუშა და ინჟინერი, დავაწესეთ მტკიცე კონტროლი ყოველდღიური გეგმების შესრულებაზე.

ყოველივე ამის შედეგად გასული წლის გეგმა 10 დღით ადრე გავანაღდეთ, დავალების გადამეტებით 600 ათასი მანეთის სამუშაოები შეკასრულეთ, შევძელით საბინაო მშენებლობის გეგმის გადაჭარბებით შესრულება. ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალება 136,1 პროცენტით გავანაღდეთ.

შარშან საექსპლოატაციოდ გადავეცით 28 ობიექტი „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასებით. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო 1.200 საწოლით, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, შრომის დაცვის ინსტიტუტის საკონსტრუქტორო ბიუროს შენობა, გაზისა და ნავთობის ტექნიკუმი და სხვ.

ამ წარმატებას ძირითადად მივაღწიეთ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. ეს მაჩვენებელი გეგმასთან შედარებით 2,9 პროცენტით გაზრდილეთ. მშენებლობის თვითღირებულება 0,3 პროცენტით შევამცირეთ, მივიღეთ 52 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ამ შედეგებით გავიმარჯვეთ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გარდამავალი წითელი დროშით დაგვაჯილდოვეს. ეს დიდი სახარელია ჩვენ და დიდი პასუხისმგებლობაც.

ჩვენი კოლექტივი ენთუზიაზმით შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, განიხილა და მოიწონა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილება 1974 წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ და გადიდებული ვალდებულებები იკისრა. ამჟამად კი ამ დიდი ჯილდოს პასუხად გადავხედეთ ადრე ნაკისრ ვალდებულებებს და გადავწყვიტეთ: ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის შეკასრულოთ, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 0,2 პროცენტით აკამაღლოთ, მშენებლობის თვითღირებულება 0,2 პროცენტით შევამცირეთ; ჩასაბარებელი ობიექტების 80 პროცენტი ჩავაბარეთ „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასებით.

იანვრის შედეგები კარგია. შრომის ტემპს არ შევანელებთ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ პირნათლად შევასრულოთ მიმდინარე წლის გეგმაც და კვლავაც შევინარჩუნოთ ეს მაღალი ჯილდო.

მთავარია მომსახურების კულტურა

გ. იოსელიანი,
წყალტუბოს რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი

წყალტუბოს რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს კოლექტივმა ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის გეგმა და აღებული ვალდებულება წარმატებით შეასრულა, მკვეთრად გაუმჯობესა მომსახურების კულტურა.

1973 წელს 1972 წელთან შედარებით მოსახლეობის მომსახურება გაიზარდა 16,7 პროცენტით, ე. ი. მოსახლეობას გაეწია 170 ათასი მანეთისაზე მეტი ღირებულების მომსახურება. რაც მთავარია, გუშინდელა სოფლის მშრომელთა მომსახურების კულტურა. შარშან გაჩნდნენ ახალი, კეთილმოწყობილი ობიექტები, სადაც დაინერგა მომსახურების მთელი რიგი ახალი სახეები.

ჩვენი გასული წლის შრომა დიდად დაფასდა. სხვა კოლექტივებთან ერთად საკავშირო ჯილდო დავიმსახურეთ. ამან კოლექტივი აღაფრთოვანა ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის, 1974 წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრების გაშლის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პასუხად, პარტიისა და მთავრობის ამ მაღალი ჯილდოს პასუხად წყალტუბოს რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს კოლექტივმა გადახედა ახალი ნაკისრ ვალდებულებებს და გადაწყვიტეს: **1974 წლის გეგმა შეასრულოს 25 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით მოსახლეობას გაუწიოს 20 ათასი მანეთის მომსახურება, ისე მოაწყოს საქმე, რომ რაიონში არ დარჩეს არცერთი სოფელი მომსახურების გარეშე. დანერგოს სამი რაციონალიზატორული წინადადება და მიიღოს 3000 მანეთი ეკონომია. მოაწყოს კონკურსები, დათვალიერებები საუკეთესო მეავეჯის, პარიკმახერის, ტანსაცმლის მკერავის გამოსავლინებლად და მათთვის ხარისხისა და წოდების მისანიჭებლად.**

ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. ინერის დავუწესეთ გადაჭარბებით შეკასრულეთ, ფართო მუშაობა მიმდინარეობს იმისათვის, რომ აქედანვე დანერგოს მომსახურების ახალი ფორმები და მეთოდები, ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ რაიონში კიდევ უფრო ამაღლდეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კულტურის დონე.

სურათებზე: მარცხნივ — საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული თბილისის № 13 სამშენებლო ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს მოწინავე კომპლექსური ბრიგადის წევრები მარცხნიდან — ი. ქავქავაძე, თ. თაბაგარი (ბრიგადის ხელმძღვანელი), ი. გოგოლეი და შ. ყორიაული; მარჯვნივ — თბილისის № 2 ავტოსატრანსპორტო საწარმოს მოწინავე ადამიანები მარცხნიდან — მძღოლები რ. ღორაშვილი, გ. აგეევი, ხ. ფანჯიკიძე (საწარმოს დირექტორი) და მძღოლი გ. შეტლიშვილი.

ს. კილაძისა და ვლ. ბინზბურგის ფოტო.

„ფრიადი“ და „კარგი“ შეფასებით

ა. აბულაძე,
საქართველოს სსრ სახოფლო მშენებლობის სამინისტროს გორის № 3 სამშენებლო ტრესტის მმართველი

სასოფლო მშენებლობის მკვეთრი გაფართოება დღეს დიდი მნიშვნელობის ამოცანაა. ამ საქმეს ემსახურება ჩვენი ტრესტის კოლექტივი. მის ობიექტებს შეხვდებით ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ბორჯომის, ქარელის, გორის, სამხრეთ ოსეთის, კასპის რაიონებში. სოფლის საჭიროებისათვის ვაშენებთ როგორც სასოფლო-სამეურნეო ნაგებობებს, ისე კულტურულ-საგანმანათლებლო, საყოფაცხოვრებო ობიექტებსაც.

შარშანდელი გეგმა ტრესტმა დიდი გადაჭარბებით გაანაღდა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11.657 ათასი მანეთისა შეასრულა 12.068 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაობი. აღსანიშნავია, რომ თვითეული მშენებლის შრომის ნაყოფიერება შარშან გეგმასთან შედარებით 2 პროცენტით გაიზარდა, მივიღეთ 47 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

დაფასდა ტრესტის თავდადებული შრომა — სკკპ იენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულის საპატიო სახელი და წითელი დროშა მოგვენიჭა.

ამ მაღალ ჯილდოს ახალი შრომითი ენთუზიაზმით ვუპასუხებთ. გადაყვიტეთ ვვაკეთეთ ხელიერი ხახელმწიფო დავალება 10 დღით ადრე გავანაღდოთ. შრომის ნაყოფიერება გავაკადიოთ 0.5 ჯროცენტით. ბაბური კბეების დაყოლიკაზე გადაკეთით საექსპლოატაციოდ მეცხოველეობის სადგომები, სასწავლო ჯლის დაყოლებამდე 10 დღით ადრე — სკოლები.

ჩვენმა კოლექტივმა, რომელიც ახლა ფართოდ აჩაღებს შეჯიბრებას მშენებლობის ხადების შემჭიდროებისა და ხარისხის მკვეთრად ამაღლებისათვის, გადაწყვიტა სამშენებლო ობიექტებზე 80 პროცენტი ჩაბარეს „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასებით.

რიტმულად, გამართულად

რ. ბალიშვილი,
თბილისის № 1 წისქვილკომბინატის მთავარი ინჟინერი

თბილისის № 1 წისქვილკომბინატი ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი, თანამდროვე ტექნიკით აღჭურვილი საწარმოა საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს სისტემაში. საწარმოს კოლექტივი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფო გეგმებს ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

ყველაზე უკეთეს შედეგებს ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს მივაღწიეთ. წლის დასაწყისიდანვე ფართოდ გავაჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება დევიზით: **გამოვუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით.** პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა 1 დეკემბრისათვის გავანაღდეთ, გეგმით გათვალისწინებული 39.648 ათასი მანეთის ნაცვლად 43.645 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია მოვახდინეთ. მომხმარებელმა გეგმის გადამეტებით მიიღო 8.785 ტონა ხარისხოვანი ფქვილი, 6 ათას ტონაზე მეტი კომბინირებული საკვები.

მექანიზმების მაქსიმალური გამოყენებით, მოცულობის შემცირებით გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 4 პროცენტით ავამაღლეთ, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 76 ათასი მანეთით შევამცირეთ, 106 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მივიღეთ. ფქვილის გამოსავლიანობა 1,28 პროცენტით გავზარდეთ, რამაც დიდი ეკონომია მოგვცა.

წარმოებაში დიდ ყურადღებას ვუთმობდით შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციას, რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვას. შარშან 24 წინადადება დაინერგა, რამაც 11.200 მანეთი პირობითი ეკონომია მოგვცა.

ამ შრომითი მაჩვენებლებით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად გვცნეს და გარდამავალი წითელი დროშა მოგვანიჭეს.

ჩვენი შრომის ამ დიდმა დაფასებამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. შეჯიბრების თვითეულმა მონაწილემ ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრა.

სწარმოს კოლექტივმა გადახედა ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებას და ერთსულოვნად გადაწყვიტა:

ფქვილის წარმოების წლიური გეგმა 12 დეკემბრისათვის შეასრულოს, კომბინირებული საკვებისა — 22 დეკემბრისათვის; მომხმარებელს გეგმის გადამეტებით მიაწოდოს 8 ათასი ტონა ხარისხოვანი ფქვილი და 2,6 ათასი ტონა კომბინირებული საკვები;

შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაადიდოს 0.5 პროცენტით, მნიშვნელოვნად შეამციროს გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება და მიიღოს 30 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ინვარი გავიდა. დავალება გადაჭარბებით შეკასრულეთ. აქედანვე ვცდილობთ მტკიცედ დანერგოთ გამართული, რიტმული მუშაობა, რათა წარმატებით შეკასრულოთ მეთოხე, განმსაზღვრელი წლის გეგმა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

როცა ყველა შეჯიბრების მონაწილეა

ვ. კიკნაძე,
საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს გორის № 28 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის უფროსი

ავტომაღლიერ გზის შეკეთების ხარისხი, ვიმრომოთ მოშკირნეულ, ყაირათიანად, ამ დევიზით შრომობდა შარშან № 28 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის კოლექტივი. მერემონტეებმა როგორც გეგმები, ისე ნაკისრი ვალდებულებანი გადაჭარბებით გაანაღდეს, შესრულებულია 368 ათასი მანეთის სამუშაობი, გეგმა კი 273 ათასი მანეთის სამუშაოთა შესრულებას ითვალისწინებდა. ამ წარმატებას სოციალისტური შეჯიბრების გაფართოებით მივაღწიეთ.

და აი სასიხარულო ცნობა მოვიდა — ჩვენ გამარჯვებულთა შორის დაგვასახელეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ჩვენი კოლექტივის შრომის ამ დიდ დაფასებას დამკვრელური შრომით ვუპასუხებთ, პირობას ვიძლევით, რომ სანიმუშოდ მოვუვლით და მხოლოდ მაღალი ხარისხის რემონტს ჩავატარებთ ჩვენთვის მოამაგრებულ 129 კილომეტრ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა და რესპუბლიკური მნიშვნელობის 20,9 კილომეტრ საავტომობილო გზებზე. ჩვენი კოლექტივის ვალდებულებები ჩაწერილია, რომ წელს შრომის ნაყოფიერება გავაკადიოთ 1 პროცენტით, ხამუშაოთა თვითღირებულება შევამციროთ 1,5 პროცენტით, მივაღწიოთ იმას, რომ შეჯიბრებაში ჩაბმული იყოს კოლექტივის ყველა წევრი, სანიმუშოდ მოვუაროთ გზებზე არსებულ ნიშნებსა და ნამებობებს, არ გვქონდეს გზებზე ორმოები, ფლიური გეგმა შეასრულოთ 7 ნოემბრისათვის.

ამ ვალდებულებების შესრულებას ჩვენი კოლექტივი ენთუზიაზმით შეუდგა.

ვიგრძოლეგთ ხარისხის ნიშნისათვის

ძ. ხარსხირაშვილი,
„ბორჯომის“ საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება დიდი სტიმული იქნება „ბორჯომის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივისათვის, რომელიც წელს მეტად დაძაბული ხუთწლეული დავალებისა და მიღებული გაზრდილი გეგმა-ვალდებულების შესრულებას შეუდგა. პირველი დიდი ნაბიჯი პროგრესის გზაზე ჩვენ შარშან გადავდგეთ, როცა „ბორჯომის“ წარმოება 91 მილიონი ბოთლით გავადიდეთ.

ამ დიდ ზრდას ჩვენმა კოლექტივმა შრომის ნაყოფიერების გადიდებით, ახალ სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენებით, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით მიაღწია. პროგრესის რეზერვების ძიება წელსაც გრძელდება. საწარმოებში განსაკუთრებული ენთუზიაზმი იგრძნობა მას შემდეგ, რაც გავეცანით სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, პარტიისა და მთავრობის დადგენილებას 1974 წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრების გაშლის შესახებ. ნაკისრი ვალდებულებები მეტად დიდია, მაგრამ სიძნელეს არ შევეშინდებით. თვითეულ ჩვენგანს სწამს, რომ მიცემულ პირობას შევასრულებთ — შარშანდელთან შედარებით 87 მილიონი ბოთლით გავადიდებთ პროდუქციის გამოშვებას და გეგმის გადამეტებით ამ მილიონ ბოთლ „ბორჯომს“, მოგებას გავადიდებთ 200 ათასი მანეთით.

ყველა ამ წარმატებას, როგორც წესი, მივაღწევთ შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე. შრომის ნაყოფიერების გადიდების რეზერვების ძიება კი წარმოების ყველა უბანზე მიმდინარეობს. ვიკვლევთ და ვსწავლობთ განვლილ ნაკლოვანებებს, შეცდომებს. მაგალითად, შრომის ტემპს შარშან საგრძნობლად აფერხებდა სამუშაოს უმიზეზოდ გაცდენები, ინდივიდუალური შეჯიბრების დაბალი დონე, წელს ამ შეცდომებს აღარ გავიმეორებთ.

ჩვენს კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მოწოდების პასუხად გაშალოს შეჯიბრება დამკვრელის წოდების და შეჯიბრებაში გამარჯვებულის სახელის მოპოვებისათვის და მიაღწიოს იმას, რომ ხუფლდებდეს გავრთიანების მიერ გამოშვებულმა ნაწარმმა მოიპოვოს ხარისხის ნიშანი.

ენთუზიაზმი დიდი რეზერვია

ს. ფანჯიკიძე,
საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის № 2 ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი

ჩვენი კოლექტივი ზეიმობს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება. პარტიისა და მთავრობის დადგენილებით გადმოგვეცემა საკავშირო წითელი დროშა და ფულადი პრემია. ჩვენი კოლექტივი მოხვდა იმ 739 სამრეწველო, სატრანსპორტო საწარმოს, სამშენებლო და ორგანიზაციის კოლექტივთა სიაში, რომლებმაც საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს.

ცხადია, ეს დიდი დაფასება მეტ საზრუნავს გვიჩენს. ამიტომ წელს უკეთ უნდა ვიშრომოთ, უნდა ვიზრუნოთ არსებული რეზერვების მაქსიმალურად გამოვლენებისათვის. შარშან კოლექტივის ბევრმა წევრმა ნამდვილად დამკვრელური შრომის მაგალითი გვიჩვენა. სწორედ მათმა საერთო ენთუზიაზმმა მოგვცა იმის საშუალება, რომ გადაჭარბებით შეგვესრულებინა ტვირთბიდვის, ტონა-კილომეტრების დავალებანი, გეგმის გადამეტებით მიგვეღო 104 ათასი მანეთი მოგება, დაგვეზოგა 102 ათასი ლიტრი ბენზინი და დიდძალი სხვადასხვა სატარო მასალები.

როცა შარშანდელ შედეგებს ვაჯამებთ, თვითეულ მაჩვენებელში ვეძებთ პროგრესის რეზერვს და ვპოულობთ კიდეც. მაგალითად, შარშან 2 პროცენტით ავამაღლეთ გარბენის გამოყენების კოეფიციენტი. მაგრამ ალბათ უკეთ შრომა შეგვეძლო, რომ ყოველ მძღოლს მეტი პასუხისმგებლობა გამოეჩინა. წელს დიდ ყურადღებას მივაქცევთ მძღოლთა სავალდებულო ტექნიკურ შეჯიბრებას, სისტემატურად განვიხილავთ შეჯიბრების მიმდინარეობის შედეგებს, განვიხილავთ შრომის დისციპლინას.

კოლექტივის თვითეული წევრი ახლა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება მინდობილ საქმეს. **წლევანდელი გეგმა შარშანდელთან შედარებით გაცილებით დაძაბულია. ჩვენ მაინც ვიკისრეთ გადავზიდოთ 70 ათასი ტონა ზეგეგმითი ტვირთი და დავზოგოთ 130 ათასი ლიტრი ბენზინი, ასეთი ეკონომია კი იმის საშუალებას მოგვცემს, რომ თვის ყოველი ერთი დღე ვიმუშაოთ დაზოგილი საწვავით.**

ამ დღეებში ავტოტრანსპორტელები გაეცნენ თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივის მოწოდების შეჯიბრების ეფექტიანობის გაუმჯობესების შესახებ და გადაწყვიტეს **იბრძოლონ იმისათვის, რომ ყოველი ტრანსპორტელი გახდეს დამკვრელი, ხოლო ჩვენმა კოლექტივმა წელს კვლავ მოიპოვოს საპატიო ადგილი სოციალისტურ შეჯიბრებაში.**

ჩვენს კოლექტივს მძღოლ დამკვრელთა დიდი ჯგუფი ჰყავს. მძღოლების ზ. ბანეთიშვილის, მ. შუშანიანის, ლ. ეგოროვის, ჯ. გამჯაშვილის, რ. გორაშვილის, ნ. გორდაშვილის, ტ. ღუდუშაურის და სხვათა შრომითი გამოცდილება საყოველთაო გახდება. ჩვენ სწორედ ამ მოწინავე რაზმზე ვამყარებთ დიდ იმედებს, მათ უნდა გაიყოლონ შეჯიბრებაში მთელი ჩვენი კოლექტივი.

შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლექტივს წელს მეტი თავდადება მართებს, — ამ შეგნებით განაგრძობენ შრომას ავტოტრანსპორტელები.

სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი

სურათზე: საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ზოზინია, ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის ხარატი, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. დოლიძე, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ხაზარაძე, ქუთაისის მე-4 ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი, სოციალისტური შრომის გმირი ე. ოშხერელი, წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი, სოციალისტური შრომის გმირი ზ. ალხანიშვილი, ჭობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ბაჯელიძე, ცხინვალის რაიონის სოფელ კეხვის კოლმეურნეობის მწველავი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. კოჩიეპა.

ვლ. გინზბურგის და ს. კილაძის ფოტო.

უფრო მაღლა ავწიოთ შეჯიბრების დროშა!



მარცვლეულის სიუხვისათვის ბრძოლაში

მოგვითხრობენ გაზეთ „კომუნისტის“ პრიზების მფლობელები

□ გაზეთ „კომუნისტის“ წითელი დროშა — მექანიზატორ მიხეილ ლალიაშვილს! □ მეორე და მესამე პრიზები — ვალიკო გახტურიძესა და რაულ ამირხანოვს! □ სანიმუშოდ მოვუყაროთ საშემოდგომო ნათესებს! □ მალე გაზაფხული მოვა, მოგზადებული შეხვდეთ თესვის დაწყებას! □ მზად ვიქონიოთ ტექნიკა, კონდიციური თესლი! □ „კომუნისტის“ პრიზების მოსაპოვებლად სოციალისტური შეჯიბრება გრძელდება!

ბასულ წელს, როცა საქართველოს მინდვრებში ის-ის იყო იწყებოდა თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ იმ მექანიზატორთათვის, რომლებიც შემოდგომაზე ვადებში და უდანაკარგოდ აიღებდნენ უხვ მოსავალს, დააწესა გარდამავალი წითელი დროშა, ვიმპელები და ფასიანი საჩუქრები.

მოსავლის აღების პერიოდში ასობით მექანიზატორი ჩაება „კომუნისტის“ პრიზის მოპოვებისათვის ბრძოლაში. მემარცვლეობის წამყვან რაიონებში მინდვრად, მოსავლის აღების დროს „კომუნისტის“ ვიმპელები ყოველდღიურად გადაეცემოდა ხოლმე წინა დღეს გამარჯვებულ კომბაინერებს.

ქიურიმ ამ დღეებში შეაჯამა შეჯიბრების შედეგები.

„კომუნისტის“ გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ადგილი, აბრეთვე ფასიანი საჩუქარი მიეკუთვნა წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის ი. ბ. ხტალინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორს მიხეილ ლალიაშვილს. მან გასულ წელს 14 დღეში პურეულის მოსავალი აიღო 244 ჰექტარზე და ვალეწა 1.003 ტონა მარცვალი — ჰექტარზე 41 ცენტნერი.

მეორე ადგილი, „კომუნისტის“ ვიმპელი და ფასიანი საჩუქარი მიეკუთვნა სიღნაღის რაიონის ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მექანიზატორს ვალიკო ბახტურიძეს. მან მოსავალი 14 დღეში 210 ჰექტარზე აიღო და 884 ტონა მარცვალი გალეწა, ანუ ჰექტარზე 37,9 ცენტნერი.

მესამე ადგილი, „კომუნისტის“ ვიმპელი და ფულადი საჩუქარი მიეკუთვნა თეთრი წყაროს მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორს რაულ ამირხანოვს. მან 14 დღეში მოსავალი 160 ჰექტარზე აიღო და 512 ტონა მარცვალი გალეწა, ანუ ჰექტარზე 35 ცენტნერი.

„კომუნისტის“ პრიზიორები და მათი ხელმძღვანელები რედაქციამ ამ დღეებში თავისთან მოიწვია. პრიზიორებს გადაეცათ საპატიო ჯილდოები.

გამარჯვებულმა მექანიზატორებმა და მათმა ხელმძღვანელებმა რედაქციის მუშაკებს მოუთხრეს თავიანთ შრომითს საქმიანობაზე. ქვემოთ ვბეჭდავთ მათი საუბრის შინაარსს.

მ. ლალიაშვილი,

წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის მექანიზატორი.

ბასული წელი ჩემთვის დიდი გამარჯვების წელი იყო. ათას ტონაზე მეტი პურეული გავლეწე, ჰექტარზე მივიღე 41 ცენტნერი მარცვალი. „კომუნისტის“ გარდამავალი დროშის მიღება ჩემთვის შეტად საპატიო და ამასთან საპასუხისმგებლოც არის. გარდა ამისა, მე უფასოდ მივიღე აგრეთვე საკავშირო გამოფენის ჯილდო ატრამანქანა „მოსკვიჩი“, რეცხეულიკაში პირველი კომბაინერის სახელის მოპოვება მომდინარე წელს დიდი ამოცანების წინაშე მაყენებს. მადლობას ვიხდი ჩემი შრომის დაფასებისათვის. წელს 250 ჰექტარზე უდანაკარგოდ ავიღე მოსავალი, ჰექტარზე მივიღე 45 ცენტნერ პურეულს.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა ჩემს გამოცდილებაზე. გასული წლის ზაფხულში, როცა გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება უკრაინელ მექანიზატორთა პატრიოტული თაოსნობის შესახებ, გადაწყვიტე მათი მაგალითით ძმეშვა ისე, რომ არცერთი თავთავი ნაწვერალზე არ დამეტოვებინა, არცერთი მარცვალი არ დამეყოლებინა ნამჯაში.

მონდომება და საქმის სიყვარული მიკარნაზებდა, რომ წარმატებს ისე ვერ მივაღწევდი, თუ კომბაინი ყოველთვის გამართული არ მექნებოდა. როგორც კი დაღამდებოდა, მაშინვე კომბაინს მივხედავდით ხოლმე მე და მექტურვალე, საგულდაგულოდ ვწმენდდით, ვზეთავდით, მოძრავ ნაწილებს გულდასმით ვამოწმებდით, რომელიმე ნაწილის გაცვეთის შემთხვევაში უმალ ვაკანობებდით კოლმეურნეობის სარემონტო სახელოსნოს სპეციალისტებს. ამიტომაც იყო, რომ უქმად არცერთი საათი არ გამიცდენია. აი მოკლედ, ის რამაც გამარჯვება მომიტანა.

ბ. ბექაური,

წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

მე იმ მემინდვრეობის ბრიგადას ვხელმძღვანელობ, რომლის პურის ყანებსაც გასული წლის ზაფხულში მკიდა მიხეილ ლალიაშვილი. მიხეილმა მკის პერიოდში მართლაც გმირულად იმრომა, მაგრამ მან მაინც ვერ თქვა ის, რაც მთავარი იყო. საქმე ის არის, რომ იგი მხოლოდ კარგი კომბაინერი როდია, იგი საერთოდ ჩინებული მოქალაქე და მექანიზატორია. ზამთარში იარაღ-მანქანებს არემონტებს, ხვნა-თესვაზეც მუშაობს, სასუქების შეტანაზეც. იგი კონტროლს უწევს იმ ნაკვეთებს, სადაც ზაფხულობით მოუხდება მუშაობა. ეს მისთვისაც კარგია, ვინაიდან თესვის დროს ნაკვეთები, მიწა კარგად ჩანს, ვიდრე აღელვებულ ყანებში. რელიეფის შესწავლა, აგროწესების დაცვაზე კონტროლი მას და საერთოდ ჩვენც გვეხმარება უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში.

ჩვენს კოლმეურნეობას 24 ტრაქტორი და 18 კომბაინი აქვს. ეს დიდი ძალაა. ამ მანქანების შეკეთება უკვე დამთავრებულია. საგაზაფხულო კულტურებს ჩვენ 650 ჰექტარზე დავთესავთ. საამისოდ მზრალი თავის დროზე მოვამზადეთ. გამოზაფხულდება თუ არა, მზრალად ხნულზე სამინდესა და მზესუმზირას დავთესავთ. ახლა ჩვენი ზზრალები საუკეთესო მდგომარეობაშია. შირაქისა და ტარიბანის მიწები თავის დროზე დავასუფთავეთ, საგაზაფხულო კულტურების თესლიც კონდიციამდე აკეთებენ. როგორც გაზეთის მუშაკები წერენ ხოლმე, ტექნიკა, თესლი და მიწა სრულ მზადყოფნაშია და გაზაფხულის დადგომასღა ვუცდით.

გაზაფხულზეც აგროწესებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს დროულად და მაღალხარისხოვნად ჩავატარებთ და იმედი გვაქვს, რომ შარშანდელზე ურიგო მოსავალს არ მივიღებთ.

კოლმეურნეობის მემინდვრეები და მექანიზატორები ჰექტარზე 42 ცენტნერი ხორბლის მიღებისათვის ბიბრავენ, სახელმოწოდ 6.500 ტონა მარცვლეულს მივყიდით. აი ასეთია ჩვენი ვალდებულებანი ! ხუთწლედის მეოთხე წელს და ეხლი გვაქვს სიტყვას პირნათლად შევასრულებთ.

ვ. ზახტურიძე,

ხიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მექანიზატორი.

გულახდილად გითხრათ, გასულ წელს მექანიზატორს უფრო მეტი ყურადღება მოგვაქციეს. მე ვფიქრობ და ასეც არის, რომ სწორედ ამ ყურადღებამ, ხელმძღვანელთა გულისხმიერებამ, შეჯიბრების სწორად წარმართვამ გაგვამხნევა.

ვფიქრობ მომდინარე წელსაც არ მოგვაკლდება ეს მზრუნველობა და ყურადღება. მე კი პალდებულებას ვკისრულობ, რომ წელს 250 ჰექტარზე უდანაკარგოდ და შემჰიდრონებულ დროზე ავიღო მოსავალი და გავლეწო 1.000 ტონა მარცვალი.

ვ. შალვაშვილი,

ხიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ თავმჯდომარე.

ჩვენს კოლმეურნეობას შარშან 1.147 ჰექტარზე ჰქონდა ასაღები მარცვლეული კულტურები. ნათესების კარგი მოვლა-პატრონობით 4.000 ტონა მარცვალი მივიღეთ. მოსავლის აღება 15 სამუშაო დღეში დავამთავრეთ.

მომდინარე წელს თავთავიანები ისევ 1.147 ჰექტარზე გვითესია. როგორც წინა წლებში, ისე ასლაც დიდ ყურადღებას ვაქცევთ თესლბრუნვებს. ამ წესს ვინც არ დაიცავს, ის წარმატებასაც ვერ მიაღწევს. ხნული ვაწარმოებდით წინამხნელიანი გუთნებით, ხნული წინ შევიტანეთ სასუქები. მიწის ასე დამუშავება უკვე იმას ნიშნავს, რომ მხნელ-მთესველი სწორ გზაზე დგას. თესვის წინ თესლს ქიმიური წესით ვამუშავებთ; გარდა ამისა, დიდ ყურადღებას ვაქცევთ თესვის ვადებს.

ნათესებში ჩვენ თავის დროზე ჩავატარეთ შემოდგომა-ზამთრის სამუშაოები, შევიტანეთ სასუქები, თაგვის წინააღმდეგ ყოველი ღონისძიება გავატარეთ და შედეგებიც კარგია, მავნებლები მთლიანად მოვსპეთ. გაზაფხულდება თუ არა, სარეველების წინააღმდეგ ქიმიურ საშუალებებს გამოვიყენებთ.

საბაზაფხულო თესვისათვის უკვე მზად ვართ. სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე შეკეთებულია, კონდიციური თესლიც მზად გვაქვს, ყველა შეკანონიზატრამ იცის რომელ ნაკვეთზე როდის უნდა დაითესოს სიმინდი და მზესუმზირა.

რ. ამირხანოვი,

თეთრი წყაროს მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის კომბაინერი.

ჩვენ მთაგორიან რელიეფზე გვიხდება მუშაობა, ამასთან ნიადაგი ხირხატია, რაც აძნელებს მანქანების მუშაობას. ამიტომ ხვნის წინ და ხვნის დროს ნიადაგს ქვებისაგან თითქმის ყოველწლიურად ვასუფთავებთ. თესვის დროსაც ვაროვებთ ქვებს. ეს კი განსაკუთრებულ პირობებს ქმნის ჩვენთვის. მე შარშან ჰექტარზე 35 ცენტნერი გავლეწე. ჩვენს პირობებში ორმაგი სამუშაოს შესრულების შემდეგ მივაღწიეთ ასეთ წარმატებას.

იმედი მაქვს მომდინარე წელს უფრო მეტ წარმატებას მივაღწევ. შარშანდელი შრომის შედეგია კმაყოფილი ვარ — მომცეს ავტომანქანა „ვოგული“ და „კომუნისტის“ პრიზი. ეს ჩემთვის საპატიო ჯილდოებია და ვეცდები უფრო მეტი გავაკეთო.

ი. მარაბოვი,

თეთრი წყაროს მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის კომპლექსური რგოლის ხელმძღვანელი.

ჩვენი მეურნეობა აღრე სამეურნეო წელს ზარალით ამთავრებდა ხოლმე. გასულ წელს კი მდგომარეობა ერთობ შეიცვალა, 200.000 მანეთის მოგებით დავამთავრეთ სამეურნეო წელი.

800 ჰექტარზე გვითესია მარცვლეული კულტურები. გეგმით საშუალოდ ჰექტარზე 20 ცენტნერი მარცვალი უნდა მივიღოთ. ვალდებულებას ვკისრულობთ საშუალოდ ჰექტარზე 30 ცენტნერი მარცვალი მივიღოთ. საამისოდ ყველა პირობები გვაქვს და იმედია სიტყვას სამართლიანად ავასრულებ.

ჩვენს კომპლექსურ რგოლს ყველა სახის მანქანები აქვს. თავთავიანების, სიმინდის და სხვა კულტურების ნათესებს ხელით შრომის გამოუყენებლად ვამუშავებთ. სასუქების დროზე შეტანას ჩვენთან პირველხარისხოვან როლს ვანიჭებთ, ვინაიდან მთაგორიან ურწყავ პირობებში მინერალური სასუქებით ნათესების გამოკვებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამის შემდეგ მთავარია გაზაფხულზე ხარვეზების წინააღმდეგ ბრძოლა. ამ ღონისძიებასაც ავროწესების მკაცრად დაცვით თავის დროზე ვატარებთ. ყოველივე ეს გვეხმარება წარმატებათა მოპოვებაში. ამ ნაგად ხერხებს წელსაც გულმოდგინედ გამოვიყენებთ და უხვ მოსავალს მივიღებთ.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) — ვ. ბახტურიძე, ი. მარაბოვი, მ. ლალიაშვილი, ბ. ბექაური, ვ. შალვაშვილი და რ. ამირხანოვი.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

ოთარ მამფორია

გადაძახილი მომავლისაკენ

ცხაკარი ლურჯად
ელვრება თბილისს,
ნათელი ათოვს
მთაწმინდის კალთას,
კალმად მიპყრია
მომავლის ხხივი
და ხაქართველოს
სიმღერას ვქარგავ.
მე უკვე ვხედავ:
ენთება შორით
ენგურის ტალღა
მამულის ცაზე
და ახალგაზდამულ
ფესვებში კოცნის
ალაზნის არხი
კახეთის ვაზებს.
ვხედავ: ვარცხნის
ვეება კაშხალს,
ეინვალთან მბორგავ
არაგვის რაშსა.
მესმის იმ დღეთა
მქუხარე ტაში,
მარხეულ იმ ტყეთა
ფოთლების ვაშა.
ვხედავ ზღვა მადანს —
აზიდულს ცამდე,
ქშენა მომესმის
აღვსილი ბედლის,
ვხედავ ხრიოკზე
ბრდღვიალა ვარდებს,
ეწერის ნაცვლად
დახუნძლულ ხეხილს.
ვხედავ და მესმის
ყიფინა ბრძოლის,
დამზრალ მიწაზე
სიცოცხლის ხმენი.
დაზგასთან ბრდღვინვა
ხუთწლედის ლომის
და მოძახილი
ჭალარა მოეხის.
ვხედავ კორტოხზე
დასადგმელ ოდებს,
აკვანში ჩვილს და
ბედნიერ დედას.
ვხედავ ფეხადგმულ
ეკლარის ლოდებს,
თვითონ მიდიან
ჩუქურთმისმჭვრელთან.
ვხედავ იმ სპექტაკლს,
გადაშლილ ფარდას
გმირის სახელი
ზეცამდე მიაქვს,
და იმ ფუნჯს ვხედავ
კრწანისის კართან,
მტრედებს რომ ხატავს
და არა ტყვიას.
მესმის, დიდების
ზარები ეღერენ,
მომავლის ძახილს
ბანს აძლევს შრომა.
შორს მივაქნევ
ქუთათურ მერნებს,
ჯავშნებად ვადნობ
რუსთავის ფოლადს.
და საქართველოს
ელვარე ქედებს,
ჩანგშემართულ
მარადის ვეტრფი,
ლექსებში ვწერავ
რქაწითლის მტევნებს
და ნაღდ სიმღერას
ვალვინებ თქვენთვის.

ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულნი

შეაჯამეს საქართველოს პროფსაბჭოსა და რესპუბლიკის მწერალთა კავშირის მიერ გამოცხადებული ლიტერატურული კონკურსის შედეგები, რომელიც მიეძღვნა თემას „მეცხრე ხუთწლედის საუკეთესო ადამიანები ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“.

კონკურსის ჟიურიმ, რომელშიც იყვნენ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გ. აბამიძე (თავმჯდომარე), მწერლები ნ. დუმბაძე, გ. ნატროშვილი, რ. ჯაფარიძე, მ. ფოცხიშვილი, ვ. გორგანელი, გ. ფანჯიკიძე, ნ. კილასონია, საქართველოს პროფსაბჭოსა და ჟალაქის სამრეწველო საწარმოთა წარმომადგენლები, განსაზღვრა გამარჯვებულნი.

პროზის დარგის პირველი და მესამე პრემია არავისთვის არ მიუკუთვნებიათ.

მეორე პრემია 500 მანეთის ოდენობით მიეკუთვნა მწერალ თ. გოგოლაძეს მოთხრობისათვის „როცა სიხლი ღუღს“.

წამახალისებელი პრემიით — 200-200 მანეთის ოდენობით აღინიშნა თელავის რაიონის სოფელ იყალთოს ღვინის ქარხნის ინჟინერ-მექანიკოსის ს. სამხარაულის მოთხრობა „მთვარის დღე“ და რუსთაველი რადიოჟურნალისტის გ. ჯახუას დოკუმენტური მოთხრობა „ნათია“.

პოეზიისა და დრამატურგიის დარგის პრემიები არავისთვის არ მიუნიჭებიათ. (საქინფორმი).

საუბარი ამხანაგ ფიდელ კასტროსთან

ირაკლი ბაბალიანი
ალექსანდრ ბაბალიანი

ჰავანა, 8 თებერვალი. (საკადესი). კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ამხანაგმა ფიდელ კასტრომ მიიღო გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე ა. ლუკოვეცი, საკავშირო პოლიტიკური მიმომხილველი ნ. ჩიგირი, „იზვესტიის“ კორესპონდენტი ვ. ვერნიკოვი.

ამხანაგმა ფიდელ კასტრომ გაუზიარა მათ კუბის მიწა-წყალზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან ამასწინანდელი შეხვედრების შთაბეჭდილებანი, უამბო, როგორ აფასებენ ქვეყნის კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობა, მთელი მოძმე კუბელი ხალხი კუბაში ლ. ი. ბრეჟნევის ისტორიული ვიზიტის შედეგებს.

კუბაში ამხანაგ ბრეჟნევის ვიზიტს, ჩვენი მოლაპარაკების შედეგებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მრავალი თვალსაზრისით, ხაზი გაუსვა ფიდელ კასტრომ. პირველ რიგში მე ვიტყოდი, რომ თავისთავად ვიზიტი ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის თითქმის თხუთმეტი წლის პერიოდის ერთგვარი კულმინაციური პუნქტია.

ჩვენი ხალხისათვის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი ნამდვილი ისტორიული მოვლენაა. ჩვენ წინათ არასოდეს არ მიგვიღია სტუმარი, რომელსაც ისეთი მაღალი მდგომარეობა ჰქონოდა მსოფლიო პოლიტიკის ასპარეზზე, როგორიც ამხანაგ ბრეჟნევს აქვს. გარდა ამისა, ეს იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პირველი ვიზიტი კუბაში და მთლიანად ლათინურ ამერიკაში.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენ უპირველეს მნიშვნელობას ვანიჭებთ საბჭოთა კავშირის ისტორიას, იმ როლს, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ასრულებს. ვლაპარაკობ როგორც სსრ კავშირის როლზე მთელი კაცობრიობის ისტორიის განვითარებაში, ისე აგრეთვე იმ როლზე, რომელიც სსრ კავშირმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ შეასრულეს კუბასთან სოლიდარობის საქმეში. ამ სოლიდარობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა კუბის რევოლუციის წარმატებით განვითარებისათვის. და ეს კიდევ უფრო ცხადი გახდება, თუ გავიხსენებთ იმ უდიდეს სიძნელეებს, რომლებიც უნდა გადაელახა ჩვენს რევოლუციას. საბჭოთა კავშირის სოლიდარობა — ეს, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა — ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს კუბის რევოლუციის დღევანდელ წარმატებებსაც.

ჩვენთვის, განსაკუთრებით ფიდელ კასტრომ, ამხანაგი ბრეჟნევი ყველაზე გამოჩენილი საბჭოთა ხელმძღვანელია, რომელიც, ასე ვთქვათ, განასახიერებს საბჭოთა კავშირისა და მისი კომუნისტური პარტიის მთელ პოლიტიკას. და ამიტომ ჩვენი ხალხი სიხარულით მოელოდა მას, ცდილობდა გამოეხატა თავისი მეგობრობის, ღრმა პატივისცემისა და მადლიერების გრძნობები საბჭოთა კავშირის მიმართ.

დიდია ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის მნიშვნელობა საბჭოთა კავშირ-კუბის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის. ვიზიტის შედეგებმ უდიდესი წვლილია იმ მეგობრობისა და ძმობის განმტკიცებაში, რომლებიც სსრ კავშირსა და კუბას აკავშირებენ. ჩვენი ურთიერთობა წინათაც ბრწყინვალე იყო. ახლა კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი რწმენა, რომ საბჭოთა კავშირ-კუბის ძმობას, მეგობრობასა და თანამშრომლობას კიდევ უკეთესი მომავალი აქვს. ვიზიტების გაცვლა და უშუალო კონტაქტები ჩვენი პარტიებისა და ქვეყნების ხელმძღვანელებს შორის საშუალებას გვაძლევენ კიდევ უფრო მჭიდროდ დავახლოვდეთ, გავამდიდროთ ერთმანეთი, კიდევ უკეთ გავეცნოთ რეალურ მდგომარეობას ჩვენს ქვეყნებში, და ამავე დროს მტკიცე და ურყევ საფუძველს ქმნიან საბჭოთა კავშირ-კუბის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის.

ყოველგვარი თვალსაზრისით, აღნიშნა შემდეგ ამხანაგმა ფიდელ კასტრომ, ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი კუბაში სრული წარმატებით დაგვირგვინდა. მხედველობაში მაქვს როგორც ჩვენი ურთიერთობა, ისე ვიზიტის საერთაშორისო მნიშვნელობა. პირველი სოციალისტური რევოლუციის ქვეყნისა და იმ ქვეყნის ნამდვილი მეგობრობა და სოლიდარობა, რომელიც ლათინურ ამერიკაში პირველი დაადგა სოციალისტური რევოლუციის გზას, — ეს ხომ ჭეშმარიტად სანიმუშო ურთიერთობაა. ეს, გარდა ამისა, არის ბრწყინვალე ნიმუში ნამდვილად რევოლუციური ურთიერთობისა ისეთ მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოსა, როგორიც საბჭოთა კავშირია, და ისეთ პატარა ქვეყანას შორის, როგორიც კუბაა.

ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი და მისი შედეგები, დაადასტურა ფიდელ კასტრომ, ეს არის სრული გამარჯვება რეაქციონერებზე და იმათზეც, ვინც ცილს სწამებს სოციალიზმს, საბჭოთა კავშირს, რადგან კვლავ მთელი დამჯერებლობით იყო ნაჩვენები, რომ ქვეყნების ურთიერთობის უმაღლესი ფორმაა ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპები, პროლეტარული სოლიდარობისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპები. ვერავითარი სხვა იდეები, კომუნიზმის იდეებს გარდა, ვერ გაიყოლიებენ ხალხს მასებს. კუბაში მარქსიზმ-ლენინიზმმა გამანადგურებელი დამარცხება აგება სიცოცხლეს და ციოლიზაციას, რომლებსაც ავიცელებენ იმპერიალიზმი და რეაქცია. და ეს ყველავ დამაჯერებლად ცხადყო ჰავანაში რევოლუციის მოედანზე გამართულმა საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრობის მიტინგმა, რომელზეც მილიონზე მეტი კუბელი მხურვალედ მიესალმა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

მთელი მსოფლიო, თქვა შემდეგ ფიდელ კასტრომ, უდიდესი ინტერესითა და ყურადღებით ადევნებდა თვალს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს კუბაში. და ეს სავსებით ბუნებრივია. კუბის მიწა-წყალზე ყოფნის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გააკეთა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური განცხადებანი, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. ამ განცხადებებში ხომ ლაპარაკია ღონისძიებებზე, რომლებიც ხორციელდება მტკიცე მშვიდობის მიღწევის, საერთაშორისო ურთიერთობის მთელი კომპლექსის გაუჯობესების, ომის საფრთხის თავიდან აცილების გზაზე. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ კუბაში წარმოთქმულ სიტყვებს უპირველესი მნიშვნელობა იმიტომაც ენიჭებათ, რომ ამ სიტყვებში ზუსტად არის განსაზღვრული ახალი ტიპის სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობაც.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს ლათინური ამერიკისათვის. არ უნდა გვავიწყდებოდეს ის ღონისძიებანი, რომლებსაც იმპერიალიზმი ახორციელებდა, რათა ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებისაგან ჩამოეცილებინა კუბა. მაგრამ ამჟამად რეალური მდგომარეობა ასეთია: ყოველდღიურად იზრდება ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა ყურადღება და ინტერესი კუბისადმი. მათი ხალხები, უეჭველია, დარწმუნდნენ, თუ რა უდიდეს მორალურ მხარდაჭერას ნიშნავს რევოლუციური კუბისათვის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში. და ეს, როგორც მე მგონია, ხელს შეუწყობს ბრძოლას ლათინური ამერიკის ქვეყნების ეროვნული განთავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის. ეს განამტკიცებს რევოლუციურ ძალებს, ლათინური ამერიკის საქმეებში ჩარევისა და იმპერიალიზმის ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს.

ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი კუბაში დიდ მნიშვნელობას იძენს „მესამე სამყაროს“ ყველა ქვეყნისათვის, ვინაიდან ეს ქვეყნები დაინტერესებული არიან სოციალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობის განვითარებით, რომლის მაგალითი შეიძლება გახდეს სსრ კავშირისა და კუბის ურთიერთობა.

მიგვაჩნია, აღნიშნა შემდეგ ფიდელ კასტრომ, რომ კუბაში ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის კეთილნაყოფიერი შედეგები ახალ სტიმულს მისცემს ხალხებს რევოლუციური იდეების განხორციელებისათვის — სოციალიზმის საქმისათვის მათს ბრძოლაში. მათთვის კუბა დამაჯერებელი ილუსტრაციაა იმისა, თუ რას შეიძლება მიაღწიოს ქვეყანამ, რომელიც სოციალისტური თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი გახდა და სარგებლობს მისი მძლავრი მხარდაჭერით.

ერთი სიტყვით, ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი ბრწყინვალე დადასტურებაა ჩვენი ქვეყნების მეგობრობისა და სოლიდარობისა. კუბელ ხალხი ეს ვიზიტი სოციალიზმის პრინციპებისა და იდეების გამარჯვებაა.

შემდეგ ამხანაგმა ფიდელ კასტრომ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-კუბის მოლაპარაკებს უმაღლეს დონეზე სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის ერთთანობის შემდგომი განმტკიცებისა და შეკავშირებისათვის.

კუბაში ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი და მისი შედეგები, თქვა მან, უდიდეს ინტერესს წარმოადგენენ არა მარტო საბჭოთა კავშირისა და კუბისათვის, არამედ სოციალისტური თანამეგობრობის ყველა სხვა ქვეყნისთვისაც.

უეჭველია, რომ საბჭოთა კავშირ-კუბის ძმური ურთიერთობის განმტკიცება და სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი კუბაში მთელი სოციალისტური თანამეგობრობის გამმარჯვებია. კუბის რევოლუცია ხომ შესაძლებელი გახდა მსოფლიო ასპარეზზე ძალების თანაფარდობაში მომხდარ უდიდეს ცვლილებათა მეოხებით. ამ ცვლილებათა ბუნებასა და არსს მოწმობს კუბის რევოლუციის გამარჯვება და მისი კონსოლიდაცია. ვინაიდან კუბა სოციალისტური თანამეგობრობის წევრია, კუბის რევოლუციის განმტკიცება, მისი საერთაშორისო პრესტიჟის ზრდა — ეს აგრეთვე მთელი სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცებაც არის. საბჭოთა კავშირთან კუბის ურთიერთობის განმტკიცება და გაფართოება ნიშნავს მთელ სოციალისტურ თანამეგობრობასთან მისი ურთიერთობის განმტკიცებასაც.

კუბაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ვიზიტი, განაგრძო ფიდელ კასტრომ, — ეს უდიდესი წვლილია საყოველთაო მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში. სოციალისტური თანამეგობრობის ძირითადი მეცადინეობა ხომ ამჟამად მიზნად ისახავს სწორედ იმას, რომ განმტკიცდეს და გაფართოვდეს ქვეყნად მშვიდობისათვის ბრძოლაში უანასკნელ წლებში მიღწეული წარმატებანი, რათა ეს წარმატებანი შექცევადი გახდეს. და ამ თვალსაზრისით კუბაში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობს მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის ბრძოლაში ძალების კიდევ უფრო შეკავშირებას.

კუბის კომუნისტური პარტია, აღნიშნა ამხანაგმა ფიდელ კასტრომ, ბოლო ოცი წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა ჩვენს ხალხს, ეხმარებოდა მას ბრძოლაში ეროვნული განთავისუფლებისა და ეროვნული ინტერნაციონალისტური შეგნებისა, ამაზე, რომ მას კარგად ესმის, თუ რა უდიდეს როლს ასრულებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, პრობლემებზე, რომლებიც აწუხებს მთელ კაცობრიობას მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის ბრძოლაში.

უნდა აღინიშნოს, განაგრძო ფიდელ კასტრომ, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პირადი ღირსებებიც. როგორც კი შემოდგა ფეხი კუბის მიწა-წყალზე, მან მაშინვე მოინახულა უკლებლივ ყველა კუბელის გული თავდაჭერის მანერით, გულწრფელობითა და სიხალვათით, თავმდაბლობითა და თავაზიანობით, ადამიანებისადმი პატივისცემითა და ამხანაგური დამოკიდებულებით. ეს თვისებები ახასიათებს მას როგორც ადამიანს და როგორც ხელმძღვანელს.

„თქვენ შეგიძლიათ შეეკითხოთ ყოველ კუბელს, — თქვა ფიდელ კასტრომ, — რა აზრისაა ამხანაგ ბრეჟნევზე? და უკლებლივ ყველას აზრი ერთსულოვანი იქნება. ჩვენს ხალხს აქვს მაღალი პოლიტიკური კულტურა და უნარი სწრაფად იცნოს კაცი, იგრძნოს იგი. კუბელები მაშინვე მიხვდნენ, თუ რა პირადი თვისებანი ახასიათებს ლ. ი. ბრეჟნევს. ამიტომ ლ. ი. ბრეჟნევისა და ასთან ერთად კუბაში ჩამოსული სხვა საბჭოთა ამხანაგებისადმი დიდი პირადი სიმპათიით ეგებებოდნენ მათ ყველგან ჩვენს ქვეყანაში“.

ამხანაგი ფიდელ კასტრო დიდი გულთბილობით ესაუბრა საბჭოთა ჟურნალისტებს ლ. ი.

მსოფლიო დღეს

სხდომა ბუქარესტში

1974 წლის 6-7 ოქტომბერს რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქ ბუქარესტში გაიმართა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების კომიტეტის მორიგი სხდომა.

კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობდნენ ვარშავის ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრები, გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი.

სხდომაზე განხილულ საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის სამხედრო ორგანოთა მიმდინარე საქმიანობასთან.

რთული პრობლემები

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოხსენება

ვაშინგტონი, 8 თებერვალი. (საკდესი). პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა დღეს კონგრესს გაუგზავნა საერთაშორისო ეკონომიური მოხსენება, რომელიც შეიცავს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ეკონომიური პოზიციებისა და საერთოდ კაპიტალისტური სამეურნეო ეკონომიკის მდგომარეობის შეფასებას.

ვაშინგტონი, 8 თებერვალი. (საკდესი). ამერიკელ ეკონომისტებს ეშინიათ, რომ 1974 წელს 6,9 მილიარდ დოლარს შეადგენდა, შეიცვალა აქტიური საოდოთი 0,8 მილიარდი დოლარის ოდენობით 1973 წელს. მოხსენებაში ეს მნიშვნელოვანწილად ახსნილია დოლარის დევალვაციით, რომელმაც აშკარად აამაღლა ამერიკის საქონლის კონკურენტუნარიანობა.

მოხსენებაში, რომელიც შეიცავს სხვა ქვეყნებთან ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური ურთიერთობის ანალიზს, მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიურ და საგაჭრო ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან, პრეზიდენტი აღნიშნავს სოციალისტურ ქვეყნებთან შეერთებული შტატების ვაჭრობის სწრაფ გაფართოებას, ამბობს, რომ გასული წლის მანძილზე ამერიკის საქონლის ექსპორტის ამ ქვეყნებში

0,9 მილიარდი დოლარიდან 2,5 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. ამ თანხის თითქმის ნახევარი სსრ კავშირთან ვაჭრობაზე მოდის.

საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შემდგომი განვითარების ინტერესებისათვის პრეზიდენტი მოუწოდებს კონგრესს „დაუყოვნებლივ მიიღოს კანონპროექტი სავაჭრო რეფორმის შესახებ ისე, რომ არაფრით არ შეზღუდოს ჩვენი რწმუნებულებანი ვაჭრობაში დისკრიმინაციის ლიკვიდაციის საქმეში“. როგორც ცნობილია, მთავრობის მიერ შეტანილი კანონპროექტი შეიცავს წინადადებას აღჭურვონ პრეზიდენტი რწმუნებულებებით სსრ კავშირისათვის ვაჭრობაში უმეტესი ხელშეწყობი რეჟიმის მისანიჭებლად.

„ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ კომუნისტურ ქვეყნებთან ვაჭრობაში დისკრიმინაციული შეზღუდვების ლიკვიდაცია არა მარტო შეესაბამება ეკონომიურ გონიერებას, არამედ აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ქვეყნებთან ნორმალური მშვიდობიანი ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის“, — აცხადებს რ. ნიქსონი.

აღმაფოთებელი ფაქტები

ნიუ-იორკი, 8 თებერვალი. (საკდესი). კუბის მუდმივმა წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამ ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კ. ვალდჰაიმს გაუგზავნა ჩილეს ყოფილი პრეზიდენტის სალვადორ ალიენდეს ქვრივის წერილი და სთხოვა გაავრცელოს იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალურ დოკუმენტად.

ორტენსია ბუსი დე ალიენდე გენერალური მდივნის ყურადღებას მიაყრობს იმ გარემოებას, რომ ჩილეს სამხედრო ხუნტა სისტემატურად და ალმაფშფოთებლად არღვევს ადამიანის ელემენტარულ უფლებებს. მხედრიონი, რომელმაც უკანონო გზით ჩაიგდო ხელში ძალაუფლება, ნათქვამია წერილში, ახლა სასტიკად უსწორდება პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, ყველა პატიოსან ჩილელს. ჩვეულებრივი ამბავი გახდა ჩხრეკა-დაპატიმრება და ხალხის დახვრეტა შუა ქუჩაში, დაკავებულთა ხანგრძლივი პატიმრობა გაუსამართლებლად და გამოუძიებლად, სამხედრო ტრიბუნალების მიერ სიკვდილის განაჩენების სასწრაფოდ გამოტანა. ქვეყანაში შექმნილია საჯონცენტრაციო ბანაკების ქსელი. ტუსაღებს ამუშავებ ოგდებენ და სასტიკად აწამებენ, სახალხო ერთიანობის მთავრობისა და მის შემადგენლობაში შემავალი პარტიების ბევრი ყოფილი თვალსაჩინო მოღვაწისათვის ავბედით სატუსაღოდ იქცა დოსონის კუნძული.

მხედრიონის მრავალ ბოროტმოქმედებას, ხაზგასმულია წერილში, ადასტურებენ ჩილეში ნაპყოფი უცხოელებიც, მათ შორის მთელ რიგ საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლები. ისინი ყველანი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ხუნტა ფეხქვეშ თელავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითად პრინციპებს. ასეთ პირობებში, აცხადებს ს. ალიენდეს ქვრივი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ რაიმე უნდა იღონოს, რათა ბოლო მოეღოს ტერორს ჩილეში და დაიცვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ საჯაროდ გამოცხადებული ადამიანის უფლებანი.

ტელეტაიპის ლენტიდან...

ფაქტები

სუეცის აღდგენის გეგმა

კაირო, 7 თებერვალი. (საკდესის კორ.). ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ, ფინანსების, ეკონომიკისა და საგარეო ვაჭრობის მინისტრმა აბდელ აზიზ ჰიგაზიმ ხალხსა კრებას გააცნო სუეცის არხის ზონის აღდგენისა და რეკონსტრუქციის პირველი ეტაპის გეგმები. გათვალისწინებულია აღდგენითი სამუშაოები დამთავრდეს 1980 წლისათვის. ამ სამუშაოთა ღირებულება 3 მილიარდ ეგვიპტურ გირვანქა სტერლინგს უდრის.

ინგლისის პარლამენტი დაითხოვეს

ლონდონი, 7 თებერვალი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ე. ჰიტმა მიიღო გადაწყვეტილება დაითხოვოს პარლამენტი და ინგლისის პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები მოაწყოს 28 თებერვალს.

გამოცხადდა გრენადის კუნძულის დამოუკიდებლობა

ნიუ-იორკი, 7 თებერვალი. (საკდესი). დღეს გაიმართა გრენადის კუნძულის დამოუკიდებლობის გამოცხადების საზეიმო ცერემონია. კუნძულის ადმინისტრაციულ ცენტრში — ქალაქ სენტ-ჯორჯესში აღმართეს ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ალამი.

გრენადა მცირე ანტილის კუნძულების არქიპელაგის პატარა კუნძულია. იგი მდებარეობს კარიბის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ორ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე კუნძული პრაქტიკულად ბრიტანეთის კოლონია იყო. გრენადის მოსახლეობის მრავალი წლის ბრძოლამ აიძულა ინგლისის პარლამენტი ეცნო კუნძულის დამოუკიდებლობა.

ნდობის ვოტუმი

ანკარა, 8 თებერვალი. (საკდესი). თურქეთის ახალმა კოალიციურმა მთავრობამ, რომელიც პრემიერ-მინისტრმა ბ. ეჯევითმა შეადგინა სახალხო-რესპუბლიკური პარტიისა და ეროვნული ხსნის პარტიის წარმომადგენლებისაგან, დღეს ნდობის ვოტუმი მიიღო მეჯლისში (თურქეთის პარლამენტის ქვედა პალატაში).

ამრიგად დამთავრდა მთავრობის კრიზისი, რომელიც პარლამენტის შარშანდელი ოქტომბრის არჩევნებს შემდეგ გრძელდებოდა.

ოიორდანიის ამბები

ლონდონი, 7 თებერვალი. (საკდესი). ოიორდანიის მეფე ჰუსეინმა გადაწყვიტა ინგლისში ორ ხასწრაფოდ დაბრუნდა ამანში. საინფორმაციო სააგენტოები იმოწმებენ ბეირუთიდან მიღებულ ცნობებს და ჰუსეინის ამ გადაწყვეტილებას უკავშირებენ მოღელვარებებს, რომლებიც მოხდა ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ამბობენ, მოაწყვეს ქალაქ ეზ-ზარქის გარნიზონის ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა, რომლებმაც მოითხოვეს გაუდიდონ ხელფასი სამხედრო მოსამსახურეებს იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელ თვეებში მკვეთრად გაიზარდა ფასები. რეგიონალური საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან, მეამბოხეებმა წამოაყენეს აგრეთვე მთელი რიგი პოლიტიკური მოთხოვნები.

უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ, რომ ისინი აძულებული არიან ისარგებლონ ბეირუთის წყაროებიდან მიღებული ინფორმაციით, რადგან თვით იორდანიიდან ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ არავითარი ცნობები არ მოდის.

ფრენა დამთავრდა

ნიუ-იორკი, 8 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის „სკაილაბის“ ორბიტული კოსმოსური სადგურის მესამე ეკიპაჟმა დაამთავრა კოსმოსში ყოფნა და დედამიწაზე ბრუნდება. დღეს 13 საათსა და 34 წუთზე მოსკოვის დროით კოსმონავტები ჯ. კარი, ე. გიბსონი და უ. პოუგი გადავიდნენ კოსმოსურ ხომალდ „აპოლონში“ და ხომალდი სადგურს ჩამოაშორეს. გაანგარიშების თანახმად, კოსმონავტების ეკიპაჟის ნაკვეთური ყოფნა უნდა დაეშვას წყნარ ოკეანეში დაახლოებით 280 კილომეტრზე კალიფორნიის შტატის სან-დიეგოს ნავსადგურის სამხრეთ-დასავლეთით. წყალზე დაშვების რაიონში გაგზავნილია ავიამზიდი „ახალი ორლეანი“.

ნიუ-იორკი, 8 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის ორბიტული კოსმოსური სადგურის „სკაილაბის“ მესამე ეკიპაჟი, რომლის ფრენამ დაახლოებით 84 დღეღამეს გასტანა, დღეს მშვიდობით დაბრუნდა დედამიწაზე. კოსმოსური ხომალდის „აპოლონისაგან“ მოცილებული ნაკვეთური, რომელშიც იყო ეკიპაჟი ჯ. კარის, ე. გიბსონისა და უ. პოუგის შემადგენლობით, წყნარ ოკეანეში დაეშვა 18 საათსა და 17 წუთზე მოსკოვის დროით დაახლოებით 176 მილზე კალიფორნიის შტატის სან-დიეგოს ნავსადგურის სამხრეთ-დასავლეთით.

ინდოეთის ამბები

კოსტა-რიკის ახალი პრეზიდენტი

სან-ხოსე, 8 თებერვალი, (საკდესი). დანიელ ოდუბერ კირხნი აირჩიეს კოსტა-რიკის ახალ პრეზიდენტად. 3 თებერვალს ქვეყანაში გამართულ პრეზიდენტის არჩევნებზე იგი კენჭს იყრიდა ამ პოსტზე მმართველი პარტიის — ეროვნული განთავისუფლების პარტიის კანდიდატად და, წინასწარი გამოანგარიშებით, მიიღო ამომრჩეველთა ხმების 43 პროცენტი. გასამარჯვებლად საკმარისი იყო მიეღო ხმების 40 პროცენტი. მოელიან, რომ არჩევნების საბოლოო შედეგებს ოფიციალურად გამოაცხადებენ მომდევნო კვირაში.

ცნობა ქ. პომპიდუს ავადმყოფობის შესახებ

პარიზი, 8 თებერვალი. (საკდესი). საფრანგეთის პრეზიდენტის კანცელარიამ გამოაქვეყნა ოფიციალური ბიულეტენი საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჟ. პომპიდუს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ბიულეტენში ნათქვამია, რომ ჟ. პომპიდუ ავად არის გრიპით და წოლითი რეჟიმი უნდა დაიცვას რამდენიმე დღის განმავლობაში.

იორდანიის ამბები

ლონდონი, 7 თებერვალი. (საკდესი). იორდანიის მეფე ჰუსეინმა გადაწყვიტა ინგლისში ორ ხასწრაფოდ დაბრუნდა ამანში. საინფორმაციო სააგენტოები იმოწმებენ ბეირუთიდან მიღებულ ცნობებს და ჰუსეინის ამ გადაწყვეტილებას უკავშირებენ მოღელვარებებს, რომლებიც მოხდა ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ამბობენ, მოაწყვეს ქალაქ ეზ-ზარქის გარნიზონის ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა, რომლებმაც მოითხოვეს გაუდიდონ ხელფასი სამხედრო მოსამსახურეებს იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელ თვეებში მკვეთრად გაიზარდა ფასები. რეგიონალური საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან, მეამბოხეებმა წამოაყენეს აგრეთვე მთელი რიგი პოლიტიკური მოთხოვნები.

უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ, რომ ისინი აძულებული არიან ისარგებლონ ბეირუთის წყაროებიდან მიღებული ინფორმაციით, რადგან თვით იორდანიიდან ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ არავითარი ცნობები არ მოდის.

მსოფლიო დღეს

ეკონომიკა. ფინანსები. ბანკები. ბირჟა. ინფორმაციები. ანალიზი. ფოტოფაქტი. ფელეტონი. ეროვნული ეკონომიკა. ეკონომიკური ინფორმაციები. ეკონომიკური ანალიზი. ეკონომიკური